ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №213283

ნომერი: AR157213

თარიღი : 08.06.2012

გაცემის თარიღი : 13.06.2012

გაცნობის თარიღი : 19.06.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

შავთელის 24;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ჩოგოვაძე პ/ნ 01024039419
- თბილისი ჟ.შარტავას ქ. N 38 ბ. 36

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი 2012 წლის 8 ივნისის №AR157213 განცხადება ქ. თბილისში, შავთელის ქ. №24–ის მიმდებარედ თქვენს მიერ სიტუაციურ გეგმაზე და ფოტოსურათზე მონიშნულ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფის მოწყობის თაობაზე და გაცნობებთ შემდეგს:

რადგან აღნიშნული ტერიტორია მდებარეობდა ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონაში, საკითხი განიხილა „საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის- ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს გაერთიანებული სამეცნიერო-მეთოდური საბჭომ" რომლის დადებითი რეკომენდაციების და საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, მუხლი №66-ის პუნქტი №6-ის და მუხლი №17-ის პუნქტი №2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენე-ბის მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებო-ბის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა), შესაბამისად სამსახურს მიზანშეწონილად მიიჩნია ქ. თბილისში, შავთელის ქ. №24–ის მიმდებარედ თქვენს მიერ სიტუაციურ გეგმაზე და ფოტოსურათზე მონიშნულ ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფის მოწყობაზე ნებართვის გაცემა წარმოდგენილი ესკიზური ვარიანტში მითითებული საპროექტო ტერიტორიის ფართობისა და მაგიდა–სკამების რაოდენობის მიხედვით 6 თვის ვადით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge